ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

31 (10018) • 29 ivlisi • 2013 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ექიმების მდელვარებამ პიკს მიაღწია

გაზეთი „ალიონი“

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან გამართულ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე გაზეთმა „ალიონმა“ ჯანდაცვაში, კერძოდ „მედალფაში“ არსებულ პრობლემებზე დასვა კითხვა. ამ თემაზე რამდენიმე სტატიაც მოამზადა. ბოლო თვეებში ექიმების უკმაყოფილება კვლავ გაიზარდა.

სამედიცინო პერსონალისაგან არაერთი საყვედური გვესმოდა შპს „მედალფას“ ხელმძღვანელთა მიმართ, რომ მათ სასწრაფო სამედიცინო დახმარების 53 თანამშრომელს და სოფლის სამედიცინო პერსონალს ხელფასები 25 პროცენტით შეუმცირეს.

ერთ-ერთი ინფორმაციით, ზამთარში, სასწრაფო დახმარების ბრიგადა ავარიაში მოჰყვა. ავტომანქანა დაზიანდა. ექიმმა ლალო გაგუამ და ექთანმა ტრავმა მიიღეს. ექიმს სერიოზული მკურნალობა დასჭირდა და „მედალფას“ კლინიკაში საკმაო მოცულობის თანხა გადახდევინეს..

„მედალფას“ კლინიკის ექიმები გვიყვებოდნენ, რომ მათი ანაზღაურების სიმწირეს დიდად უწყობს ხელს დირექციის გაზრდილი ხარჯები. მართალია მათ კლინიკას სასტუმროც აქვს, მაგრამ თბილისიდან მოვლენილნი ხშირად ბათუმის სასტუმროებში მიდიან და ესეც გარკვეულწილად ზრდის კლინიკის ხარჯებს.

არას ვამბობთ კლინიკაში არსებულ სივიწროეზე. არც თუ იშვიათად მამაკაცი და ქალი პაციენტი ერთსა და იმავე პალატაშია მოთავსებული (?!)...

დღეს ექიმები გურიის სამივე მუნიციპალიტეტიდან, ჯერ პარლამენტის ვიცე-სპიკერს ზურაბ აბაშიძეს შეხვდნენ, ხოლო შემდეგ ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს ზვიად კვაჭანტირაძეს და „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დარჩიას. შეხვედრას შპს „მედალფას“ გენერალური დირექტორი კახი მუხიგულაშვილი და დირექტორი ლევან ანათაძე შემოუერთდნენ.

სასწრაფოს ექიმების თქმით, მათ მაისიდან ხელფასის 25 პროცენტი ჩამოაჭრეს.

ირმა გორგოშიძე, ექიმი:–120 ლარი ჩამოგვაჭრეს, ეს უსამართლობაა. სხვა პროფესიის ადამიანებს ხელფასებს უმატებენ. რა დააშავეს ექიმებმა?

თამარ თალაკვაძე, სოფ.დვაბზუს ექიმი: – ვიყავით მეწარმე იურიდიული პირები. შემდეგ „მედალფას“ გადაგვცეს. ჩვენი ამბულატორია 500 ლარს ღებულობდა ყოველთვიურად, რომელიც უნდა გადანაწილებულიყო ხელფასებზე, მედიკამენტებზე, საკანცელარიო ნივთებზე, გათბობაზე და სხვა ხარჯებზე. ამ თანხიდან 20 პროცენტი საშემოსავლოში იქვითება, ამას კიდევ თუ 25 პროცენტს მოაკლებენ, რაღა რჩება, როგორ ვიმუშაოთ?...

ზეინაბ ხვედელიძე, სოფ. კოხნარი (ჩოხატაური):–ჩვენ ვმუშაობთ წვიმაში, ქარში, პასუხისმგებლობა დიდია. 200 ლარად შეიძლება მუშაობა?

რუსიკო ონიანი, სოფ. ბუკისციხე (ჩოხატაური):– ხელშეკრულება ხელფასის დაკავებას არ ითვალისწინებს..

დონარა ორმოცაძე, (ლანჩხუთი)–რატომ არ იცავს ჩვენს უფლებებს სახელმწიფო?

ექიმები აცხადებდნენ, რომ გამაფრთხილებელ გაფიცვას მოაწყობდნენ. ისიც კი გაგვანდეს, რომ „მედალფას“ კლინიკის ხელმძღვანელები გაფიცვის შემთხვევაში დაჭერით დაემუქრნენ...

შპს „მედალფას“ გენერალური დირექტორის **კახი მუხიგულაშვილის** განმარტებით, სადაზღვევო კომპანია „ალფამ“ ვერ მიიღო ფული სახელმწიფოსაგან და შესაბამისად „მედალფას“ კლინიკას ბოლო პერიოდში 35 ათასი ლარი დააკლდა. ეს მცირე თანხა არ არის და ამან გამოიწვია ხელფასების 25 პროცენტის ჩამოჭრა.

„მედალფა“ ჩართული იყო სახელმწიფო პროგრამაში და ჰქონდა ვალდებულება, პროგრამა დაფინანსებია 50 პროცენტით, ხოლო ამ თანხის მეორე ნახევარს იხდიდა სახელმწიფო. იგივე სიტუაცია იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურთან მიმართებაში. რამდენიმე თვის წინ „მედალფა“ ამ პროგრამიდან (218 დადგენილება) გავიდა, რადგან „მედალფა“ წაგებაზე იყო.

ჩვენ ვართ პროვაიდერი კომპანია. სახელმწიფომ აღარ ჩაურიცხა თანხის 25 % „ალფას“ და ჩვენც იძულებითი ნაბიჯი გადავდგით. ჩვენ ამ თანხას ექიმებს არ ვართმევთ, როგორც კი გადმოგვირიცხავენ, ავანაზღაურებთ. ვფიქრობთ, ეს აგვისტოს ბოლოს მოხდება...

დეპუტატ **ზვიად კვაჭანტირაძის** აზრით, პრობლემა არსებობს სახელმწიფოს, სადაზღვევო კომპანია „ალფას“ და „მედალფას“ შორის. ეს თემა შესასწავლია, რაზედაც იგი, შაბათს, პოლიტსაბჭოს სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან აპირებს საკითხის დაყენებას. იგი დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში თავშეყრილ ექიმებს ჯანდაცვის მინისტრ სერგიენკოსთან და პარლამენტის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე ხუნდაძესთან შეხვედრასაც შეჰპირდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ერთ-ერთმა ექიმმა ჩვენთან ასე გამოხატა თავისი გულისტკივილი:– სადაზღვევო კომპანია „ალფა,“ „მედალფა,“ და ფარმაცევტული ბაზრის უდიდესი წილი ერთ კაცს ეკუთვნის. გადახედეთ ქართველ მილიონერთა სიას, სად ამოყო მოკლე დროში თავი პაატა კურტანიძემ. რატომ უნდა აფინანსებდეს სახელმწიფო ასეთ კომპანიებს? იქნებ ალტერნატიული კლინიკების შექმნაზე ეფიქრა. მაშინ ექიმები ასე უსუსურ სიტუაციაში არ ვიქნებოდით...

p.s. გაზეთი „ალიონი“ შეეცადა თუ რა რეაგირება მოყვა ექიმების აქციას პოლიტსაბჭოს სხდომაზე, მაჟორიტარ დეპუტატ ზვიად კვაჭანტირაძისაგან მიეღო ინფორმაცია, ჯერჯერობით პასუხი არ მიგვიღია..

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წინ კარვები აიღეს

ნუგზარ ოთარიშვილი

26 ივლისს, ოცდამეცამეტე დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეებმა კარვები აიღეს და აქცია შეწყდა. ამ გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღოდა აქციის მონაწილეებთან მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის შეხვედრა, სადაც ამ თემაზე ჰქონდათ საუბარი. წინა დღით დეპუტატმა პირველ რადიოსთან განაცხადა, რომ „ მე არ მაქვს კარვების ორგანიზებასთან არანაირი კავშირი, პირიქით, მიმაჩნია, რომ ეს არ არის პტოტესტის სწორი ფორმა.“

მართალია, ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე აქციის ორგანიზატორები კვაჭანტირაძის ფაქტორს გვერდს უვლიდნენ, მაგრამ საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაციით, დეპუტატის მითითებამ გადააწყვეტინა აქციის ორგანიზატორებს კარვების აღება. აქციის მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს ადგილობრივ მედიასაშუალებებს და ცენტრალური ტელევიზიების წარმომადგენლებს აქციის მიმდინარეობის ობიექტურად გაშუქებისათვის.

გაზეთი „ალიონი“ აქციის ერთერთ ორგანიზატორს, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრს **ნუგზარ გიორგაძეს** ესაუბრა:

–რა ფაქტორმა გადაგაწვეტინათ აქციის შეწყვეტა? ხომ არ უკავშირდება იგი წუხელ, მაჟორიტარ დეპუტატთან შეხვედრას?

–ჩვენ ზვიადისთან არ ვყოფილვართ შეთანხმებული არც კარვის გაშლაზე და არც აღებაზე. ეს აქცია იმ ენებათაღელვამ გამოიწვია, რაც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ განვითარდა ოზურგეთში. ჩვენ ვითხოვდით სამართლიანობის აღდგენას და ვედექით ბიძინა ივანიშვილის გვერდით. ის ხალხი, რომლებიც აქციაში იღებდნენ მონაწილეობას, იყვნენ „ქართული ოცნების“ კოორდინატორები, ქვეკოორდინატორები და დიდი წვლილი მიუძღვით თავიანთ უბნებზე „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში. ეს ხალხი არჩევნების შემდეგ იგნორირებული იყვნენ. ფაქტიურად „ქართული ოცნება“ დააკომპლექტეს იმ ხალხით, ვისაც ჩვენ ვებრძოდით. „ქართულ ოცნებაში“ის ხალხი აღმოჩნდნენ, ვინც ნაციონალებს უჭერდნენ მხარს.

2013 წლის 24 ივნისს, საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებმა დაადასტურა, ის, რასაც ჩვენ ვეჭვობდით,– ოზურგეთს მკურნალიძე-ხვედელიძის კადრები მართავდნენ.

ამ არჩევნებზე კოალიციის კადრი იყო დიმიტრი კვერღელიძე, რომელსაც მხარს უჭერდა მაჟორიტარი დეპუტატი. ზვიადის აზრი იგნორირებული იქნა ნაციონალური მოძრაობის გამაგრების მიზნით. ფაქტიურად, ამ ხალხმა ითამაშა ნაციონალური ლიდერების თამაში. ამ ყველაფერს უხმოდ და წყნარად ხელმღვანელობდა გურიის ვიცე-გუბერნატორი ლელა თავართქილაძე.

▶▶▶ გვ-2

კონსტიტუციაში ცვლილებების განხილვა ოზურგეთშიც შედგა

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონის საერთო-სახალხო განხილვა შედგა.

შეხვედრაზე, რომელსაც უძღვებოდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, კომისიის თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე, დეპუტატები გიორგი კახიანი და ზვიად კვაჭანტირაძე, განიხილეს საკონსტიტუციო ცვლილებების სამი პროექტი საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით.

ასევე განიხილეს ცვლილებების პროექტი პარლამენტის მიერ მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანაზე კონტროლის შესახებ და კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად საჭირო კვორუმთან დაკავშირებით.

ოზურგეთლებმა განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

29 ივლისი, ორშაბათი	30 ივლისი, სამშაბათი	31 ივლისი, ოთხშაბათი	1 აგვისტო, ხუთშაბათი	2 აგვისტო, პარასკევი	3 აგვისტო, შაბათი	4 აგვისტო, კვირა
წვიმა +17+22	წვიმა +16+24	მზე, ღრუბელი +15+24	მზე +18+26	მზე, ღრუბელი +18+26	მზე, ღრუბელი +18+24	წვიმა +17+24

ნესტან კირთაძე ოზურგეთელ ფერმერებს შეხვდა

გურიაში თავისუფალი ბიზნესის განვითარების რეალურ პერსპექტივებთან დაკავშირებით ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საზოგადოებრივი ორგანიზაცია ,,სახალხო მოძრაობის" ხელმძღვანელი **ნესტან კირთაძე** გურიის მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდა.

ყოფილი პარლამენტარი ნესტან კირთაძე პრეზიდენტობის სახალხო კანდიდატია ,,სახალხო მოძრაობიდან," მაგრამ როგორც მან განაცხადა ოზურგეთში იგი სხვა მისიით ჩამოვიდა.

–ჩვენ დავაფუძნეთ ქართულ-აფხაზური და ოსური მოძრაობა, რომელიც ევროპული ორგანიზაციაა და მისი შტაბ-ბინა ბრიუსელშია. ასევე გადმოგვცეს ოფისები პარიზში, ნიუ-იორკში, ბერლინში და ტოკიოში.

მივაღწიეთ შეთანხმებას ევროპარლამენტის, ევროკავშირის და ევროპული ინსტუტიციების დონეზე, რომ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის რამდენიმე მილიარდიანი დაფინასება გამოგვიყონ. ამ თანხით თქვენ და თქვენაირ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს დავაფინასებთ.

საზოგადოება ,,ელკანას" ადგილობრივი ხელმძღვანელის ჯაბა ჭეიშვილის თქმით, დაფინანსების შემთხვევაში,შესაძლებელია კივის, თხილის, ციტრუსის და მეფუტკრეობის განვითარება, დღედაღამ მუშაობენ, მაგრამ უსახსრობის გამო საშველი არ არის. არ დააფინანსეს მეფუტკრეობის სკოლა, რომელმაც არაერთი მეფუტკრე გამოზარდა. შესაძლებელია სანერგე მეურნეობის მოწყობა, სადაც ადგილობრივ, პერსპექტიულ ჯიშებს გაამრავლებენ. ბანკი იძლევა 21%-იან სესხს, რომელიც შემდეგ 36 %-იანი ხდება.

ჩაის პერსპექტივებზე მცირე მეწარმე ილია ბასილაშვილმა ისაუბრა, ხოლო მეფუტკრეობის და სხვა დარგების პერსპექტივებზე -თამაზ ღლონტმა.

ნესტან კირთაძემ არ გამორიცხა მომავალში გურიის აღორძინების ფონდის შექმნა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წინ კარვები აიღეს

ჩვენ არ ვებრძვით ნაციონალებს, მაგრამ ჩვენმა მღელვარებამ 24 ივნისს მიაღწია პიკს, როდესაც ნაციონალებმა გაიყვანეს თავიანთი კანდიდატი.

ჩვენ კანონმორჩილი ხალხი ვართ. თუ კანონმორჩილი არ იქნები, ისე სახელმწიფო არ განვითარდება. ჩვენ 24 ივნისს დავინახეთ ადგილობრივი ლიდერების სახე, (აქ არ ვგულისხმობ შოთა გოგიბერიძეს, ტიფო მიქატაძეს, დიმა კვერღელიძეს). მოვა ადგილობრივი არჩევნები და ხალხი გასცემს ყველას სათანადო პასუხს.

–და მაინც, რა გახდა აქციის შეწყვეტის კონკრეტული მიზეზი?

–კარავში ჩვენ 33 დღე გავატარეთ. ჩვენ გავაგზავნეთ პეტიციები 11 უწყებაში, რომელშიც დაყენებული მოთხოვნებიდან ნაწილი დაკმაყოფილდა, მიმდინარეობს გამოძიება. ჩვენ ამ ,,სეფიდან" სახელმწიფოს არ ვუპირისპირდებით. ჩვენ გვქონა ჩვენი მოთხოვნები, რომელთა შესრულება დაიძრა ადგილიდან. (გაიგებდით, კოალიციის ახალი ლიდერი ეყოლება ოზურგეთს). არ გვინდა ასეთი აქციები ავადმყოფობასავით გადასულიყო სხვაგან, ამიტომ ვწყვეტთ აქციას.

–იცნობთ კოალიცია ,,ქართული ოცნების" ადგილობრივი ორგანიზაციის ახალ ლიდერს?

-არ ვიცნობ, პოლიტსაბჭომ გადაწყვიტა ასე. დარწმუნებული ვართ, ისინი არ დაუშვებდნენ იმ შეცდომას, რაც წინასაარჩევნო პერიოდში იქნა დაშვებული....

–თქვენ 23 მარტს სტიქიის შედეგად დაზარალებულთათვის დახმარებების გამოყოფის შემოწმების საკითხსაც აყენებთ...

–ჩვენ სამართალდამცავებიდან მოვითხოვეთ ამ დახმარებების თემაზე გაემახვილებინათ ყურადღება. ჩვენთვის არ მოუწოდებიათ ეს საჯარო ინფორმაციები. იმედია, სამართალდამცავებს მიაწოდებენ.

–საპრეზიდენტო არჩევნების წინაპერიოდია. რა წვლილს შეიტანთ ამ არჩევნებში?

–ჩვენ ვიბრძოლებთ გავიდეს ,,ქართული ოცნების"კანდიდატი.

– დღეს თქვენთან არ არის თქვენი აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ლელა ნაცვალაძე...

–ლელა თითქმის 9 წელია ებრძვის უსამართლობას. ბოლო დღეებში გადაიღალა, და არ მოსულა.

–და მაინც, ვის რჩევას დაემორჩილეთ..

–კი ბატონო, ზვიად კვაჭანტირაძე იყო ჩვენთან. იგი კარგი დიპლომატი და პოლიტიკოსია. მან ადამიანურად გვირჩია: ,,შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ხომ არ აჯობებდა აქციის შეწყეტა."...გადაწყვეტილება აქციის ყველა მონაწილემ ერთად მივიღეთ. ჩვენ ველოდებით სამართლიანობას, თორემ კარვის გაშლა ყოველთვის შეიძლება...ეს ,,გადახტომა გადმოხტომები"უნდა დამთავრდეს... სახელმწიფო არ აშენდება ვიღაცის მუქარებით. სახელმწიფო კონსტიტუციამ უნდა მართოს. ორხელისუფლებიანობა სამ თვეში დასრულდება და სამართალი ჭამს პურს...

„ცდილობენ ეს მოძრაობა, ნაცმოძრაობის ფილიალად აქციონ"

იმ დროს, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაბა ურეკში უმრავლესობის წარმომადგენლებთან შეხვედრას მართავდა, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატი ლელა ნაცვალაძე ჟურნალისტებს შეხვდა.

მან განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის წინ აქციის შეწყვეტაზე აქციის ყველა მონაწილის აზრი ცალსახა იყო. აქცია დროებით შეჩერდა, რადგან არ გვინდოდა კარვებისა და ,,სეფის" ფონზე შსს შესაბამისი სტრუქტურების მიერ მიმდინარეობდეს გამოძიება.

მან პროტესტი გამოთქვა ,,ქართული ოცნების"თავმჯდომარის დავით დარჩიას მიერ ერთ-ერთ მედიაშუალებაში მიცემულ ინტერვიუში აქციისათვის ,,სამარცხვინოს"წოდების გამო. – ,,მას ბიძინა ივანიშვილის კურსელობა მეტ პასუხისმგებლობას ავალებს".

ნაცვალაძის თქმით,ოზურგეთში ამჟამად მიმდინარეობს კლანური ბრძოლა. კოალიცია ,,ქართული ოცნების" ზოგიერთი ლიდერი ცდილობს ეს მოძრაობა ნაციონალური მოძრაობის ფილიალად აქციოს და მასში აქტიურად მონაწილეობენ საკრებულოს დეპუტატები მჟავია, გირკელიძე, კილურაძე და სხვები, რომლებიც ცდილობენ ,,ქართული ოცნების"ადგილობრივი ორგანიზაციები მათთვის სასურველი კადრებით დააკომპლექტონ, რათა შეინარჩუნონ მომავალშიც თავიანთ სოფლებში ამომრჩევლებზე გავლენა.

ნაცვალაძე აცხადებს, რომ იგი არ შეეგუება ოზურგეთში მიმდინარე უსამართლო პროცესებს

მაჟორიტარი დეპუატი სოფლის მეურნეობის მინისტრისაგან პასუხს ითხოვს

როგორც საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს პრესსამსახურის უფროსმა **ნინო კუკულაძემ** გვაცნობა, ზვიად კვაჭანტირაძემ ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს შალვა ფიფიას, თუ რა ღონისძიებები ხორციელდება სიიდან ამოვარდნილი დარეგისტრირებული მოქალაქეების კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ბარათების მისაღებად. (ოზურგეთში 2700 ოჯახია დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო ბარათის გარეშე).

გთავაზობთ ამონარიდს მინისტრის პირველი მოადგილის **დავით შერვაშიძის** პასუხიდან:

,,აპრილის თვის პირველ ნახევარში სამინისტრომ მთელი საქართველოს მასშტაბით მუნიციპალიტეტებიდან დაასრულა მონაცემების მიღება იმ ბენეფიციარების შესახებ, რომლებიც დამატებით სიების პრობლემატურ ბენეფიციარებს წარმოადგენდნენ და მათი მონაცემები კვლავ ოფიციალურად გადასამოწმებლად გადაუგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისის განვითარების სააგენტოს, რათა დაედასტურებინათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა პირადი მონაცემების სიზუსტე. სააგენტოდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, დაიბეჭდა დამატებითი სიების გასწორებულ პრობლემატურ ბენეფიციარებზე (როგორც კომბინირებული, ასევე ნომინალური) ბარათები და სამინისტრომ უზრუნველყო მაისის დასაწყისში მათი ადგილზე ჩატანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტის განხორციელებისას იხელმძღვანელა მუნიციპალიტეტიდან მიღებული როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სიებით და მოსახლეობის ის კატეგორია, ვინც 2012 წლის ნოემბრიდან დაწყებული 2013 წლის მარტამდე სიების შედგენის დროს ვერ მოხვდა როგორც ძირითად, ასევე დამატებით სიებში, არის მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიზეზით გამოწვეული. რაც შეეხება მცირე მიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში ახალი დამატებითი სიების მიღების საკითხს, ამ დროისათვის სასოფლო-სამეურნეო ბარათების ბეჭდვა დასრულებულია, ვინაიდან საგაზაფხულო სამუშაოების აგროვადები თითქმის ამოწურულია."

მოსახლეობა კვლავ ინტერესით ელოდება პრობლემის მოგვარებას

ნინო ნიკოლაიშვილი

– არ ველოდით, ასეთი ინტერესით თუ მოეკიდებოდნენ ჩვენი პრობლემების მოსმენას – გაკვირვებას ველარ მალავდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წმინდა გიორგის ქუჩის მოსახლეები ადგილზე მისული ხელისუფლების წარმომადგენელთა სიმრავლის გამო.

შეხვედრა, რომელსაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძე, საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურის და ურბანიზაციის კომისიის თავმჯდომარე თამაზ სალუქვაძე, ქალაქის მერი ლევან მგელაძე, მუნიციპალიტეტის წყალკანალის უფროსი იასონ ცინცაძე, ინჟინერი დავით ცერცვაძე ესწრებოდნენ, დაიგეგმა კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ ,,სოხუმის" ოზურგეთის სათემო კლუბ ,,ექადიის" წინა შეკრებაზე. მაშინ დასახლების პრობლემათა უმთავრეს პრიორიტეტად წყლის პრობლემა დასახელდა. კლუბის მოდერატორმა ქეთევან ქადიეშვილმა ზემოთაღნიშნული ჩინოვნიკები ხალხს შეახვედრა და მათთვის თავად მოასმენინა. ქუჩას უწყლობა წლობით აწუხებდა, არჩევნების წინა პერიოდში ნაჩქარევად მოხდა მილების გაყვანა, თუმცა გადათხრილი ორმოები, რომელშიც სისტემის წყალიც იღვრებოდა და ნიაღვრისაც, სერიოზულ დისკომფორტს უქმნიდა მათ. ამას დაემატა ისიც, რომ წყლის გადასახადი სწორედ მას შემდგომ დაუწესეს სულადობის მიხედვით, როცა სისტემაში წყალი გაუშვეს, თუმცა ამის შესახებ წყალკანალის წარმომადგენლებს არც სიტყვიერი, არც ოფიციალური ინფორმაცია მოსახლეობისთვის არ მიუწოდებია. ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რამდენიმე ოჯახმა მალევე შეიყვანა წყალი ეზოში, ზოგმა კი მხოლოდ ორი-სამი თვის წინ მოახერხა მათთვის საკმაოდ ძვირადღირებული სამუშაოების გაწევა და ისიც მაშინ, როცა მათ მრიცხველები დაუდგეს (მრიცხველების ღირებულებას 100 ლარს,თანდათან გადაახდევინებენ ხალხს). ისინი აპროტესტებენ წყლის გადასახადის გადახდას გასული წლის ნოემბრიდან. საგადასახადო ქვითარი ზოგს სხვის სახელზე მისდის და ესეც პრობლემებს უქმნის. შეხვედრაზე დაისვა წყლის ხარისხის საკითხიც. ავთანდილ სურგულაძისა და თამაზ სალუქვაძის თქმით, წყალკანალს თავად ევალებოდა მილების შეძენა, თუმცა მათ მუნიციპალიტეტის ხარჯებით შეუძინეს ის. ახლა კი, როცა ამდენი პრობლემა დაგროვდა, უნდა მოხდეს შეთანხმება და ნაწილი თანხა მოსახლეობამ იზარალოს, ნაწილი კი წყალკანალმა. იასონ ცინცაძე შეჰპირდა მათ აღნიშნული ინფორმაციის ზემდგომამდე მიწვდენას.

ქალაქის მერის ლევან მგელაძის თქმით, ხელშეკრულება,რომელიც მოსახლეობას დაურიგდა მრიცხველების დადგმის შემდგომ, არის კაბალური და მხოლოდ ცალმხრივ ვალდებულებებს ითვალისწინებს. – გაურკვეველია, როგორ უნდა მოუაროს საკმაოდ ძვირადღირებულ მრიცხველებს ხალხმა, ძლიერი ყინვის, ან უამინდობის პერიოდში. საყურადღებოა წყლის ტარიფები, როცა ჩვენში წყალი ხშირად თვითდინებით მიდის და ნაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რატომ უნდა ხდებოდეს ერთნაირი საფასურის გადახდა სხვადასხვა შემთხვევაში. ასევე პრობლემას შექმნის მრიცხველზე წყლის პერიოდული წყვეტა, როცა წყლის ნაცვლად მრიცხველში პერიოდულად ჰაერი გაედინება ძლიერი წნებით და ჩვეულებრივ აამუშავებს.

ამ საკითხებზე სპეციალისტებს პასუხი არ გაუციათ.

შეხვედრიდან მეორე დღეს დაგვირეკეს და გვთხრეს, რომ ორმოები და დაზიანებული მილები შეკეთდა, ნაწილობრივ შედეგიანად გადაწყდა რამდენიმე საკითხი, თუმცა მთავარი, პრობლემის მოგვარებას მოსახლეობა კვლავ ინტერესით ელოდება

მადლობა სიკეთისათვის

კულტურულ ჰუმანიტარული ფონდ ,,სოხუმის" ოზურგეთის ქალთა კლუბის მორიგი შეხვედრა ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა. შეხვედრას ფონდის წარმომადგენლები ემა კანკია და მანანა ლეშკაშელი ესწრებოდნენ. წინა შეხვედრაზე კლუბის ერთ-ერთი წევრის ოჯახის მძიმე ეკონომიკურ პირობებზე ისაუბრეს. მიმართეს ბიზნესმენ გია ხუჭუას და სთხოვეს მის წარმოებაში კლუბის წევრთა ერთდღიანი დასაქმება, რათა გამომუშავებული თანხით შესაძლებლობა ჰქონოდათ ავადმყოფისთვის წამლების შეძენისა – ,,გია ხუჭუამ მაშინვე ჩაგვირიცხა ჩვენს მიერ დასახელებული თანხა (100ლ.). კლუბის სახელით მადლობას ვუხდით მას სიკეთისათვის.

კლუბის წევრები შევხვდით საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც ასევე აღგვითქვა დახმარება.

„თვითმმართველობა -ეს ჩვენ ვართ“

ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჭაი ვაჭაბდის, ქალაი ქალაბდის....

-თვითმმართველობა -ეს ჩვენ ვართ -აცხადებს სოფელ თხინვალში მოქმედი სათემო კავშირი „იმედი,“ იზიარებს ილიას ნააზრევს „მგზავრის წერილებიდან“ და საზოგადოებრივი სათათბიროს ჩამოყალიბებით დღევანდელ რეალობაში დეცენტრალიზაციის განხორციელების საკუთარ მოდელს გვთავაზობს:

კობა ცერცვაძე *სათემო კავშირ „იმედი"-ს წარმომადგენელი:* გურიის რეგიონის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალში ხორციელდება პროექტი „თვითმმართველობა–ეს ჩვენ ვართ". პროექტის მიზანია, სათემო კავშირ „იმედი"-ს ბაზაზე შესაბამისი ცოდნით, უნარ-ჩვევებითა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საზოგადოებრივი სათათბიროს ჩამოყალიბება, რომელიც უნდა გახდეს შემაკავშირებელი მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის, უნდა შეავსოს, სრულყოს და გააქტიუროს დღეისათვის არსებული თვითმმართველობა.

პროექტის ფარგლებში ახლად შექმნილი სათათბიროს სრულყოფისა და მიზანმიმართულად წარმართვისათვის ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული გამოცდილი და წარმატებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებთანაც გვაკავშირებს პარტნიორული ურთიერთობები, საკუთარი რესურსებით უსასყიდლოდ დაგვეხმარნენ პროექტის განხორციელების გრაფიკით გათვალისწინებული აქტივობების ჩატარებისას, რაც გამოიხატა საზოგადოებრივი სათათბიროსათვის ამ ორგანიზაციების გამოცდილებისა და კომპეტენციის შესაბამისი ტრენინგ-სემინარების ჩატარებასა და დებატების წარმართვაში.

დიდი მადლიერებით აღვნიშნავთ მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის თანადგომასა და დამსახურებას პროექტის წარმატებით განხორციელებაში.

საზოგადოებრივი სათათბიროს ფუნქციონირებისათვის შესაბამისი გარემოსა და პირობების შესაქმნელად რემონტი ჩაუტარდა სათათბიროს ოთახს, შეძენილ იქნა მრგვალი მაგიდა სკამებით, ციფრული ფოტოაპარატი, პროექტორი ეკრანით, საკანცელარიო მასალები, პრინტერი, კომპიუტერები ინტერნეტში ჩართვით, რომლებიც სათათბიროს საჭიროებების პარალელურად შესაძლებელს გახდიან თემში კომპიუტერული სწავლების კურსების ამოქმედებას.

პროექტის განხორციელებით მოხდება ქმედითუნარიანი სათათბიროს ჩამოყალიბება. შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებით წევრები შეძლებენ სწორად წარმოაჩინონ პრობლემა, მოახდინონ მის ირგვლივ ყველა საჭირო ინფორმაციის შეგროვება და გაცვლა მოსახლეობასთან თავთავიანთ უბნებში, ჯანსაღი დებატების გამართვით და არგუმენტირებული დასაბუთებით შეძლებენ თემისთვის ყველაზე სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებას. ერთად გაერთიანებულები ირწმუნებენ რა საკუთარ შესაძლებლობებს გადაწყვეტილების მიღებაში, უფრო მეტად მოტივირებულნი გახდებიან აიღონ პასუხისმგებლობა მათ მიერ მხარდაჭერილი პროექტებისა და საქმიანობების წარმატებით შესრულებაზე, იზრუნებენ რომ მოიძიონ მხარდამჭერები, შექმნან პრობლემის გადაჭრით დაინტერესებულ პირთა ჯგუფები, შეძლონ ჩასატარებელი საქმიანობების მართვა.

ინტერნეტისა და კომპიუტერების გამოყენების შესწავლით დაინტერესებულ პირებს საშუალება მიეცემათ გაეცნონ ახალ ტექნოლოგიებს, თავადვე მოიძიონ, შეადგინონ პროექტები და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში, იზრუნონ ადგილზე არსებული პრობლემების საკუთარი ძალებით მოგვარებაზე, დაეუფლონ საკუთარი თავის, სოფლის, ქალაქის, შეძლებისდაგვარად ქვეყნის მართვის ხელოვნების საფუძვლებს.

სწორედ ამ ურთიერთობებში უნდა შეასრულოს საზოგადოებრივმა სათათბირომ თემის გააქტიურების, მოსახლეობის მობილიზების, თვითმმართველობის სრულყოფის ფუნქცია, სადაც აქტიურ მოსახლეობას ექნება საშუალება თქვას: „თვითმმართველობა – ეს ჩვენ ვართ". გარდა ზემოთმოყვანილი საკითხებისა საზოგადოებრივი სათათბიროს მსჯელობისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების საგანი იქნება 2011 წელს ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის დახმარებით შემუშავებული ჩვენი სოფლის განვითარების სტრატეგიური მიმართულებებით გათვალისწინებული საქმიანობები.

გვაქვს ჯანსაღი ამბიცია იმისა, რომ ჩვენს სოფელში შექმნილი სათათბირო გახდება დღეისათვის სოფლად არსებული თვითმმართველობის შემავსებელი რგოლი და იქნება სანიმუშო სხვა თემებში ადგილობრივი თვითმმართველობის გაჯანსაღებით დაინტერესებულ პირთა ჯგუფთათვის. ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასაც მიეცემა საშუალება გაიზიაროს გამოცდილება და უფრო მეტად იზრუნოს შესაბამის თემებში სამოქალაქო თანამონაწილეობით დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღების სრულყოფაზე.

ავთანდილ სურგულაძე, *საკრებულოს თავმჯდომარე:* –მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც ხელს შეუწყობს დეცენტრალიზაციის განხორციელებას. მიმაჩნია, რომ ასეთ პროექტებში მოსახლეობის ჩართულობა მეტად უნდა გაიზარდოს.

* * *

მარინა სუნგულია, *კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, რესპუბლიკური პარტია:*– სოფლის პროგრამების ხარჯთაღრიცხის გამჭირვალობა აუცილებელია. სათემო კავშირმა „იმედმა“ მაგალითი მოგვცა, თუ რას ნიშნავს ადგილობრივი პროექტების გამჭირვალობა. ზოგადად საზოგადოების განვითარებას სახელმწიფო უნდა უწყობდეს ხელს.

* * *

დიმიტრი კვერღელიძე, *საკრებულოს წევრი, კოალიცია „ქართული ოცნების“წევრი, თავისუფალი დემოკრატების ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე:*– დღეს ადამიანების ჩართულობა თვითმმართველობების პროცესებში არ არის. ყველაფერი მოდის ზემოდან. ამიტომ ადამიანების ჩართულობა თვითმმართველობის პროცესებში უნდა გაიზარდოს. ადგილებზე უნდა შეიქმნას თვითმმართველობები, რომლის მაგალითს ჩვენ ვხედავთ სათემო კავშირ,, იმედის“ სახით.

თამარ ხომერიკი
გამგეობის თავმჯდომარე
გურიის აგრობიზნესცენტრი
E-mail: guria_abc@mail.ru
www.gabc.ge

ორგანიზაციის მიზნები: სოფლის მეურნეობისა და ბიზნესის განვითარება; დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება.

გურიის აგრობიზნესცენტრსა და სათემო კავშირ "იმედი"-ს მრავალწლიანი წარმატებული თანამშრომლობითი ურთიერთობა გააჩნიათ. ერთობლივად განხორციელებულა არაერთი აქტივობა, რაც თემის განვითარებას უწყობდა ხელს.

დღეისათვის გურიის აგრობიზნესცენტრი ჩართულია სათემო კავშირის მიმდინარე პროექტში "თვითმმართველობა, ეს ჩვენ ვართ", რომლის ფარგლებშიც, თხინვალის თემის აქტიური წევრებისთვის, ორგანიზაციის ოურისტების მიერ მოხდა სემინარის ორგანიზება ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ თხინვალის თემში განხორციელებული პროექტი ხელს უწყობს საზოგადოებრივი ჩართულობის ზრდას სათათბირო ორგანოს შექმნის გზით. მნიშვნელოვანია საზოგადოების გააქტიურება ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სათათბირო ორგანოს შექმნა არის ერთგვარი მოდელი დაგეგმილი თვითმმართველობის რეფორმის პროცესში, როდესაც სოფლის მოსახლეობის მიერ საერთო კრებებზე მიღებული გადაწყვეტილება პრიორიტეტული საჭიროებების შესახებ, გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სოფლის პროექტების დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროცესში.

ლევან ხინთიბიძე, საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი, აღმასრულებელი დირექტორი, ვებ გვერდის მისამართი: **www.sdgk.org.ge**

თხინვალის სათემო კავშირ „იმედთან“ ჩვენს ორგანიზაციას გააჩნია მრავალწლიანი საქმიანი ურთიერთობები, რომელიც გამოიხატება მათთან ერთად სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში, კერძოდ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში – „სახალხო ინიციატივები დემოკრატიისათვის“ და მართვის საერთაშორისო სისტემების (MSI-GEORGIA) მიერ მხარდაჭერილ 3 პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტში – „საზოგადოებრივი ინიციატივები ცვლილებებისათვის“

ორივე ზემოაღნიშნული პროექტი ემსახურებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების პრაქტიკული ჩართვის ხელშეწყობას, სამოქალაქო მონაწილეობის მხარდაჭერის გზით. ანუ მათი მთავარი მიზანი გახლდათ: ეფექტური საჯარო პოლიტიკის ხელშეწყობა და მოსახლეობის გააქტიურება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამ პროექტების ფარგლებში თხინვალის სათემო ორგანიზაციისთვის, ასევე სხვა სათემო ჯგუფებისათვის ჩატარდა სემინარ ტრენინგები შემდეგ თემებზე : „ადგილობრივი თვითმმართველობის არსი: სამოქალაქო მონაწილეობა და საზოგადოებრივი მონიტორინგი“.

ყველა ამ აღნიშნულ პროექტში სათემო კავშირი „იმედი“ გამოირჩეოდა თავისი აქტიურობითა და ნოვატორული ინიციატივებით სოფლის ადგილობრივი პრობლემების მოგვარების პროცესში, დაწყებული პრობლემების შერჩევიდან და დამთავრებული ხელისუფლების მიერ სოფლის პროექტების ხარისხობრივად შესრულების მონოტორინგით

რაც შეეხება პროექტს „თვითმმართველობა ეს ჩვენ ვართ“, იგი გახლდათ ხელშემწყობი ფაქტორი – საზოგადოების ხელისუფლებასთან დაახლოების პროცესებისა და ამასთან დროული მისია შეასრულა თვითმმართველობის ახალი რეფორმის მოთხოვნების პროცესებთან მიმართებაში, რაც გულისხმობს სამომავლოდ საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებას უკვე სოფლის დონეზე. ამით ფაქტობრივად რეფორმის წინამოსამზადებელი სამუშაოები თხინვალმა უკვე გაიარა, რაც უდაოდ „იმედის“ დამსახურებაა.

ახლა უკვე საჭიროა რომ ამ მიმართულებით მოქმედებები არ შეჩერდეს, უნდა გაგრძელდეს ხელისუფლებასთან მუდმივი დიალოგის რეჟიმი, რამაც უკვე მეტ-ნაკლებად ამ სოფელში ტრადიციული ხასიათი მიიღო და „იმედის“ ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს ერთგვარი სათათბირო ორგანო, რომელიც რეკომენდაციებს და შენიშვნებს მიაწვდის ხელისუფლებას მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს. თუნდაც ეს იყოს სოფლის პრობლემების შერჩევა და მათი გადაჭრის გზების ძიება. აქედან გამომდინარე ყველას უნდა ესმოდეს რომ თვითმმართველობა, ეს არის საზოგადოების უფლება და ყველა გადაწყვეტილება მასთან შეთანხმებით უნდა იქნეს მიღებული.

მინდია სალუქვაძე
ახალგაზრდა მეცნიერთა
კლუბის გამგეობის თავმჯდომარე
e-mail: info@guria.ge:

ჩვენს ორგანიზაციას თავისი მიზნებიდან გამომდინარე არაერთი პროექტი განუხორციელებია გურიის რეგიონის ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ სათემო კავშირებთან, განხორციელებული პროექტებიდან, ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული თხინვალის სათემო კავშირ „იმედთან“ თანამშრომლობა იყო, მათთან ერთად შემუშავებული გვაქვს 5 წელზე გათვლილი სოფლის განვითარების სტრატეგიული გეგმა. პრობლემების იდენტიფიკაციითა და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვებით, პროექტის ფარგლებში ჩავატარეთ ტრენინგ-სემინარი თემაზე: „მონაწილეობითი სტრატეგიული დაგეგმვა“; „ეფექტური კომუნიკაცია-პრეზენტაციის უნარ-ჩვევები“; „სახსრების მოძიება“.

მოსახლეობა თვითმმართველობას ხშირად აღიქვამს არა როგორც საკუთარ უფლებას, არამედ როგორც ხელისუფლების წარმომადგენლობას. რეალურ თვითმმართველობას ახორციელებს არა სახელმწიფო მოხელეები, არამედ მოსახლეობა და მის წინაშე ანგარიშვალდებული თვითმმართველობის ორგანოები. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით თვითმმართველობა მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობაა, სოფელ თხინვალში საზოგადოებრივი სათათბიროს ჩამოყალიბება კარგი სტიმული იქნება ამ სოფლის მოსახლეებისათვის, რათა გააქტიურდნენ, საინტერესო წინადადებები მოამზადონ, ითანამშრომლონ თვითმმართველობასთან და მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელონ თავის სამოქმედო არეალში, გავლენა მოახდინონ თავისი სოფლის უკეთესი მომავლის შექმნაზე.

ნათია გიგიაძე
„სტუდენტურ-ახალგაზრდული
სათათბიროს“; გამგეობის
თავმჯდომარე
www.syc.ge

მისასალმებელია ისეთი სათათბირო ორგანოს ჩამოყალიბება თემში, რომელიც გააერთიანებს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფს და ამავდროულად დახმარებას გაუწევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, უფრო მეტად ეფექტურად გამოავლინონ და გადაჭრან თემის წინაშე მდგარი პრობლემები, ხოლო პრიორიტეტები კი მორგებული იქნას ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებებსა და ინტერესებზე.

როცა ცალკეული საჭირბოროტო საკითხის გამოვლენა და დღის წესრიგში დაყენება უშუალოდ მიმდინარეობს ადგილობრივი საზოგადოებიდან, ეს უფრო ზრდის მის მოტივაციას, იყოს ჩართული კონკრეტული პრობლემის მოგვარების საკითხებში, უბრალოდ იყოს აქტიური მოქალაქე, იცხოვროს თემში და იზრუნოს მის კეთილდღეობაზე.

ის მეთოდიკა, რაც პროექტით („თვითმმართველობა ეს ჩვენ ვართ“) წარმოადგინა სათემო კავშირმა “იმედი“, ხელს შეუწყობს მოქალაქეების სათანადო ცოდნით და უნარ-ჩვევებით აღჭურვას, რომ გაიაზრონ და დასაბუთებულად წარმოაჩინონ მათი თემის წინაშე არსებული პრობლემატური საკითხები, სრულფასოვნად ჩართონ თვითმმარველობის განხორციელების პროცესში, ხოლო მათი აქტივობა კი მისაბაძი გახდეს რეგიონში არსებული სხვა თემებისთვისაც.

„დარაბებს მიღმა გაზაფხულია“

ექიმობა ცალკეულ პიროვნებათა ხვედრია, რომელსაც აქვს შინაგანი მოწოდება „გააკეთოს კეთილი საქმე, ქვაზე დადოს და არ დაელოდოს შედეგს, არამედ გააგრძელოს სიკეთის თესვა.“ ექიმობა დიდი მადლის მატარებელია, დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს, რადგან დაშვებული მცირე შეცდომა ადამიანს აყენებს არა მარტო ხორციელ ტკივილს, არამედ სწირავს მას, მთელი ცხოვრება სულიერი ტკივილით იცხოვროს.

ქვეყანაში მიმდინარე სამედიცინო რეფორმა, როცა შემცირდა საავადმყოფოთა საწოლი ადგილები, არსებული მძიმე ეკონომიკური პირობების გამო რაიონის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი შოკის მდგომარეობაში იყო მისული. თითქოს ხსნა არსაიდან იყო, რაიონში გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც დააფუძნა ალტერნატიული სამკურნალო დაწესებულება, სამედიცინო დახმარება გაეწია ხელმოკლე, შეჭირვებული ოჯახებისთვის ხელმისაწვდომ ფასებში, გაეწია ამბულატორიული მკურნალობა, სამედიცინო კონსულტაცია, დახმარებოდა უნარშეზღუდულ ავადმყოფებს, ჩაეტარებინა მის ხელთ არსებული, სამედიცინო-სადიაგნოსტიკო კვლევა.

ეს უპრეტენზიო ადამიანი დააბიჯებს ჩვენს შორის. სანდომიანი სახითა და თბილი, კეთილი თვალებით ცდილობს უსაშურად აკეთოს საქმე, რათა მეტ ადამიანს მოგვაროს შვება, ისე, როგორც ყველა ადამინს, მასაც ემატება წლები, თმაში ჭაღარა და 65 წლის ავთანდილ ჩხიკვიშვილი გრძელვადიანი სამედიცინო პროგრამას ჭვრეტს მომავლის იმედით, დაუღალავი, ენერგიული, ჩვენთვის საყვარელი მსახიობის რეზო ჩხიკვიშვილის ფინანსური და მორალური მხარდაჭერით, ცდილობს ყველამ იგრძნოს რომ, „დარაბებს მიღმა გაზაფხულია,“ სიცოცხლე უნდა გაგრძელდეს და სიკვდილის კარი ჩაიკეტოს. იმედების ახდენა, სიხარული და ბედნიერება ნუ მოგკლებოდეთ ბატონო ავთო თქვენ, და თქვენს ცოლშვილს, რადგან თქვენი სანთელივით წვა ბევრისთვის სინათლისა და სითბოს წყაროა.

სამკურნალო ცენტრ „ძლევაიში“მოღვაწე თქვენი მეგობრები და კოლეგები.

... ადამიანის სულის ანაბეჭდი...
თეიმურაზ ქილიფთარი



სატელეფონო ზართან ამიხმიანეს შენი სახელი!

გარდაიცვალა!

სასაფლაოს მწვანე სიმშვიდის მკვიდრად იქეცი!

ეგებ დამძიმებული სული სიტყვებს მიწებებულმა სურვილმა შემიმსუბუქოს?!

დამხმარედ არქიმანდიტრ რაფაელს ვუხმობ: „...ყოველი საფლავი რაღაც საიდუმლოს ინახავს –ზოგი ჩაძინებულ ბავშვის აკვანს ჰგავს, ზოგი უხილავ ნათელს ასხივებს, ზოგიერთიდან კი, თითქოს, გმირვისა და გოდების ხმა ისმის.

საფლავი სხვა რამეა, ეს არის ადამიანის სულის ანაბეჭდი... ზოგიერთ საფლავთან თავს კარგად და მსუბუქად ვგრძნობთ, ზოგს კი, თითქოს, ამძიმებს საფლავის ქვა...“

შენს სულს და სხეულს საფლავის ქვა არ დაამძიმებს!

რატომ?

შენ ხომ სიღრმისეულად გქონდა გაზრდილი შეგონება: „ნუ მივატოვებთ ერთმანეთს, როცა ერთმანეთს ვჭირდებით!“–მიგიტოვებია ვინმე გასაჭირისას?-–არა და არა!

გულისმიერი სიკეთით იყავი სავსე, გასცემდი და არ ითხოვდი, თანადგომის უნარიც გქონდა და ხელის მადლიანი გაწვდენის დიდოსტატად გიცნობდნენ! შენ, არც ადამიანის მიტოვება შეგეძლო, არც საქმის!

შენით გაოცებულს ბევრჯერ გამხსენებია: „მთავარი გვავიწყდება - ერთმანეთისკენ სავალი გზა!“

არასდროს დავიწყებია სამეგობრო გზა! კარგის აღთქმაც შეგეძლო და გაჭირვებულის ტკივილის გაზიარებაც!

ჩემში საოცარი განცდით შემოდი და... გაბატონდი!

არც არასდროს დამიძახია შენთვის სახელი!

–ბატონიშვილო!

–ეთერო!–ასეთი იყო ჩვენი შეხმიანების სტილი.

შენ ჩემს ცხოვრებას ადამიანური სიმაღლის დანახვის საშუალება მიეცი!

შენი სახელი ყოველთვის წარმატებითაც ხმიანებდა! –ლამაზი ოჯახის თავკაცი, შესანიშნავი მეუღლე და სანიმუშო შვილების მამა, ერთგული მეგობარი ყველასთვის ხელისგამწვდომი, თანამდგომი და ჭირისუფალი!

შენ, მე, ცხოვრება შემიმსუბუქე, გამილამაზე... შენ, მე, ოროთახიანი ბინა მაჩუქე!

მაღაროთა სამმართველოს და მისი ტავკაცის სახელი რესპუბლიკის გარეთ ხმიანებდა, შენი გარჯით შენდებოდა და მშვენდებოდა ჩვენი ქალაქი. რამდენი მრავასართულიანი სახლი აშენდა მაღაროელთა გარჯით, რამდენს შეუმსუბუქე ცხოვრება, დააბინავე, გაათბე, დააპურე...

რამდენი ლოცავდა და ლოცავს შენს ლამაზ ოჯახს, რამდენი აღნიშნავს შენ ღირსებას!

შვენოდი ქალაქს... შვენოდი!

გუშინდელივით ავლაპარაკდი შენზე!

როცა ბინაში დავმკვიდრდი, წიგნების თაროზე, იაკობის „დედა ენასა“და ჩემი დიდი მეგობრის და განუმეორებელი მწერლის, ლევან გოთუას „გმირთა ვარამის“ შუაში შენი სურათი მოვათავსე!

მახსოვს, როგორ გაიხარა შენმა გულიკომ ამ სურათის ნახვით! ახლა შენმა სურათმა ჩემი მშობლების, ძმების, ახლობლების გვერდით ჩამოინაცვლა!

შენ ჩემს ბინაში არ მოსულხარ! როცა ახალმოსახლეობა გადავიხადე, ოზურგეთში არ იყავი! აქ შენი ნაკვალევი არაა, აქ შენი ადამიანობის, გულკეთილობის დიდი მაგალითია! წარუშლელი ნაფეხურია!

არასოდეს დამავიწყდება 10 დეკემბერი –შენი დაბადების დღე! გემრიელი სახლის დიდი დიასახლისი უგემრიელეს სუფრას დაგვახვედრებდა! სიმღერით იწყებოდა და მთავრდებოდა ყველა სადღეგრძელო –თავადაც ხომ დიდებული მომღერალი იყავი!

ვენერას გარდაცვალების შემდეგ არც გადამიხდია დაბადების დღე! –მის გარეშე, მიჭირსო! –რამდენჯერ გითქვამს!

შენს გარეშე ახლა ჩვენ გაგვიჭირდება, მაგრამ... რაოდენ ბევრისმოქმელია ის, რომ საფლავის ქვა არ დაგამძიმებს...

შენმა მფარველმა ანგელოზმა უფალს უამბო იმ მადლის შესახებ, რითაც იყავი სავსე –შენეული ცხოვრებისეული სიკეთის გამო, ამიტომაც იქნება საფლავის ქვა შენთვის მსუბუქი!

შენი საფლავი უხილავ ნათელს გამოასხივებს და ამ ნათელს დაინახავენ ადამიანები, რომლებმაც იცოდნენ ვინ იყავი და როგორი იყავი!

ბატონიშვილო, შენი საფლავი „ადამიანის სულის ნაბეჭდია,“შენი სულის ნაბეჭდი, დიდო და კარგო ადამიანო!

ეთერ ქადეიშვილი.

„შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანიის“ ბჟუჟესის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა „ბჟუჟესის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ღვაწლმოსილი ინჟინერი, ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი **თეიმურაზ მაკარის ძე ქილიფთარი** და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება **თეიმურაზ ქილიფთარის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია და ყოფილი „ოზურგეთის სტამბის“ კოლექტივი იუწყება **ელენე (ლუსია) მამულაიშვილი-ოსეფაიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ოზურგეთის მოსწავლეთა პირველობაზე

ოზურგეთის საჩოგბურთო კორტებზე მთელი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა მოსწავლეთა პირველობა ჩოგბურთში, რომელშიც 8 უძლიერესმა ჩოგბურთელმა (ვაჟები, ქალები) მიიღო მონაწილეობა.

შაბათს ფინალური შეხვედრები გაიმართა. ირაკლი ქუტიძემ (№2 სკოლა) ორ სეტში (6:1; 6:2) სძლია ზურაბ ქავთარაძეს (№1 სკოლა) და ტურნირის გამარჯვებული გახდა.

ვაჟებს შორის მესამე ადგილზე ირაკლი კაცაძე გავიდა (IV სკოლა).

გოგონებს შორის ფინალურ შეხვედრაში ანი მუჯირმა (№4 სკოლა) სძლია ანა მიქატაძეს (№1 სკოლა) (6:1; 6:4). აქ მესამე ადგილზე პირველსკოლელი ხათუნა ქავთარაძე გავიდა.

ტურნირს მსაჯობდა დავით თავართილაძე. ტურნირის გამარჯვებულები დიპლომებით, მედლებით და თასით დაჯილდოვდნენ, ხოლო პრიზიორებს შესაბამისი დიპლომები გადაეცათ.

უახლოეს დღეებში ჩოგბურთის კორტებზე წელს რიგით მესამე ტურნირი გაიმართება. „მოდერნის“თასზე ღია პირველობა გაიმართება, რომლის განაცხადშიც უკვე არაერთმა ჩოგბურთელმა გამოთქვა მონაწილეობის სურვილი.



იური ჩიხლაძე

ორი წლის წინ, 27 ივნისს, ისევ გაიღო სასუფეველი ცათა, უფალს მიეახლა სული მოკვდავის... უკვდავებაში დაიდო ბინა. ისინი კი, ვინც იცნობდა, ან სმენოდა ცოტა რამ მაინც იური ჩიხლაძეზე, მწარე სინანულმა შეიპყრო –ტკივილმა გაიარა გულში, მამულიშვილი დაკარგა ერმა. უსაზღვროდ დიდი სიყვარულის და სიკეთის კაცი.

ახლა საფლავის ქვიდან იღიმის მისეული უზადო ღიმილით, და ამ ღიმილში იკითხება – „ნეტარ არიან“...

გთავაზობთ ლექსებს კრებულიდან „მეუფის გვირგვინი“ 1991 წელი.

კაცი კეთილი

იყო კაცი და სიყვარულს იგონებდა,
მერე ამ სიყვარულს წერდა სტრიქონებად,
კაცი იყო მაგრამ, ბავშვის გული ედო,
ყველა გაჭირვებულს შარავანდად ენთო.
ჰქონდა სათნოების ნიჭი საოცარი,
სიყვარული იყო მისი სალოცავი,
ბაგეზე უკრთოდა ცისფერი ღიმილი
და მწარედ სტკიოდა ვიღაცის ტკივილი.
ძლიერ უხაროდა თამასი ბავშვურ წლებთან,
დამშეულ სულებს მადლით აპურებდა.
მარტოკა უყვარდა დარჩენა ფიქრებთან,
ყველა ზომის ტკივილს უსაზღვროდ ითმენდა.
ჭეშმარიტების გზა თვითონ ურჩევია,
ვიღაც წარღვნისგან გადაურჩენია,
გული სიყვარულით ჰქონდა გაყოფილი,
მცირედი სიკეთით რჩებოდა კმაყოფილი.
დაჭრილი სიმღერის ჰანგები უყვარდა,
დაღლი-დაქანცული ჯდებოდა ბუხართან,
სიკეთის გულისთვის რას არ იღონებდა,
თუ დასჭირდებოდა, კიდეც იომებდა.
დილამდე ათასგვარ სიყვარულ იგონებდა
მერე ამ სიყვარულს წერდა სტრიქონებად.

მოგონება

ძველი ალბომის გაცრეცილ ფურცლებს,
ხელის კანკალით გადავშლი როცა,
თვალწინ ჩრდილივით აისვეტები,
და მარადიულს გიგზავნი ლოცვას...
ვარდების თეთრი გირლიანდებით,
მოვედი შენი საფლავის ქვასთან,
ვაიმე დედი... ეს მარტოობა...
მითხარ როდემდის... როდემდის გასტანს...
დღეს მოგონება მეახლა ციდან,
ქარმა შემახსნა ოქროს ღილები,
ველარ გამათბობს მზე გაზაფხულის,
და მე უშენოდ გავიყინები.
მე, სადღაც სიზმარ-სიზმარ დავეძებ,
შენს სულს, შენივე ცრემლივით წმინდას,
ამ უბედობას საით გავექცე,
დაკეტილია გზა ყველა მხრიდან.
წლები რომ უმოწყალოდ მთელავენ,
ეს უშენობის ალბათ ბრალია,
დროს ვერ აჩერებს დედი ვერავინ,
დროს ჩვენთვის უკვე აღარ სცალია,
მე კი ცხოვრების დიდი ომიდან,
დამარცხებული ვდგევარ უშენოდ,
შენი ფერება ისევ მომინდა
და მითხარ ამას რითი ვუშველო.
მზეო ამოდი, სხივო გამათბე,
ღამევ გათენდი, დღეო დაღამდი,
ბედო, უბედოდ ნუ მიმატოვებ,
მომწყინდა ობოლ სულთან ღაღადი.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru